

პასტანბ გურული

# საბჭოთა კავშირის დაშლა

თბილისი  
2007

## საბჭოთა კავშირის დაშლა (კანონზომიერება თუ შეთქმულება?)

1991 წლის 8 დეკემბერს მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: არსებობა შეწყვიტა ზესახელმწიფომ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა. მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საბჭოთა კავშირის გაქრობა თავისთავად ერთმნიშვნელოვან მოვლენას არ წარმოადგენდა. პრაქტიკულად ადგილი ჰქონდა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებულ მოვლენას: **პირველი**. საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემის მსხვრევას; **მეორე**. საბჭოთა კავშირის დაშლას დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად. ორივე მოვლენა დროსა და სივრცეში ერთდროულად განვითარდა. სწორედ ამით იყო გაპირობებული ის, რომ უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მქონე და თავისი ჰეგემონისტური ბუნებით ცნობილი ზესახელმწიფო დიდი სისხლისღვრისა და ომების გარეშე დაიშალა.

დასავლური სამყაროს (დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების) ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს (საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ რამდენიმე პერიოდს მოიცავს:

**პირველი**. 1917–1941 წლებში დასავლური სამყარო ბრძოლის ფორმებად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლების არცნობას, ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა ძალების მხარდაჭერასა და სამხედრო ინტერვენციას, ეკონომიკურ ბლოკადას, დანარჩენი მსოფლიოსაგან საბჭოთა კავშირის იზოლაციას. ეს ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა. უთანხმოებამ დასავლურ სამყაროში საბჭოთა კავშირს ეკონომიკური ბლოკადისა და პოლიტიკური იზოლაციის დაძლევის საშუალება მისცა. ბოლომდე პრინციპულ პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ იმხანად ანტისაბჭოთა მოძრაობის მედროშე ინგლისიც კი ვერ ინარჩუნებდა ხოლმე.

**მეორე**. 1941–1945 წლებში დასავლური სამყარო, რომლის ლიდერობის შენარჩუნებას უკვე უპერსპექტივოდ ცდილობდა ინგლისი, ორი მიზნის მიღწევას ესწრაფოდა: გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხება და საბჭოთა კავშირის მაქსიმალურად დასუსტება. საბჭოთა კავშირის დასუსტება პირველ რიგში ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისული ვითარების შექმნას. ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენის პროცესში შექმნილ სირთულეებს უნდა დაეძაბა სოციალური ვითარება, ყოველივე ამას კი უნდა შეეფერხებინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც სულ მალე უარყოფით გავლენას მოახდენდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდაზე.

**მესამე**. 1945–1985 წლებში დასავლური სამყაროს, რომლის ლიდერობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უპირობოდ იგდო ხელთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სტრატეგია ასეთი იყო: საბჭოთა კავშირის დაშლა უნდა დაწყებულიყო საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემის მსხვრევით. ეკონომიკის გაჩანაგება, მძიმე სოციალური ვითარება, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების ანტირუსული და ანტისაბჭოთა მოძრაობა, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. საბჭოთა კავშირი ნელ-ნელა დასუსტდებოდა და დასავლური სამყაროსათვის ადგილი სამართავი გახდებოდა.

**მეოთხე**. 1985–1991 წლებში დასავლურმა სამყარომ უკვე მოპოვებული წარმატებებით ისარგებლა და საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური (სისტემური) პროგრამა აამოქმედა. ასე დაიწყო „გარდაქმნა“ – საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა.

X X X

1985 წელს დაწესებული „გარდაქმნა“ (საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პროგრამა), რომლის ფორმალური იდეოლოგია **მიხეილ გორბაჩოვის** ხედა წილად, არ ყოფილა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში მომწიფებული აზრის შედეგი. „გარდაქმნა“ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ (დასავლურ სამყაროში) დაიგეგმა და მის მიმდინარეობაზე კონტროლი ქვეყნის გარედანვე ხორციელდებოდა. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა მთლიანობაში აღებული იმდენად უუნარო აღმოჩნდა, რომ „გარდაქმნის“ საბოლოო მიზანი ვერ ამოიცნო**, მიხეილ გორბაჩოვის მიერ დეკლარირებული „გარდაქმნა“ ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქის ცნობილ პოპულისტურ ღონისძიებებს შეადარა და გარკვეულწილად ირონიითაც კი შესცქეროდა ემოციებით დატვირთულ მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლებს. თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ამ გამოსვლებში საგანგაშოზე ბევრად მეტი საანეკდოტო მასალა იყო. თუმცა ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა.

„გარდაქმნის“ გეგმა არ ითვალისწინებდა საბოლოო მიზნების (საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის) თავიდანვე გაცხადებას. „გარდაქმნა“ დაიწყო XX საუკუნის 20–30–იან წლებში ჩამოყალიბებული **„ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის“** კრიტიკით, პოლიტიკური რეპრესიების დაგმობით (ნიკიტა ხრუშჩოვის საყვარელი თემები), ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, ხარისხობრივი მანქვნების გაუმჯობესების, სოციალური პრობლემების გადაჭრის, განიარაღების მოთხოვნით (ლენინდ ბრეჟნევის საყვარელი თემები).

შემდეგ პოპულარული გახდა ლოზუნგი, რომელიც სოციალიზმისათვის **„ადამიანური სახის“** მიცემას მოითხოვდა. ამ ლოზუნგის არსში სერიოზულად გარკვევა არც არავის უცდია. პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მცირე ნაწილმა საფრთხე მაშინ დაინახა, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის დაკნინდა, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის მონოპოლიის შეზღუდვა და აღმოსავლეთ ევროპასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში საბჭოთა კავშირის ჰეგემონისტური პოლიტიკის კრიტიკა დაიწყო. ამ ეტაპზე გარდაქმნას პოლიტიკური და განსაკუთრებით სამხედრო ელიტის მხრიდან შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობა შეჰქმნოდა. გარდაქმნის მამებს ესეც გათვალისწინებული ჰქონდათ. დაიწყო იმისი ოსტატური პროპაგანდა, რომ კერძო სექტორის წახალისების, მრავალპარტიულობის დამკვიდრების, აღმოსავლეთ ევროპის დათმობის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების (მაგალითად, ავღანეთის) შინაურ საქმეებში სამხედრო-პოლიტიკური ჩარევის შეწყვეტის სანაცვლოდ შენარჩუნებული იქნებოდა ზესახელმწიფო – საბჭოთა კავშირი. ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში აღზრდილი საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტა იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელი საფრთხე ვერ შენიშნა. ვერ გააცნობიერა ელემენტარული ჭეშმარიტება: **საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის არსებობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა**. საფრთხე კიდევ რომ შეენიშნა, საბჭოთა ელიტას ზესახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის გეგმის მონახაზიც კი არ გააჩნდა. „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე პოლიტიკოსები და სამხედროები შეიძლება თავსაც იტყუებდნენ, როცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების შესახებ დაპირება ირწმუნეს. ასე გასწირა **კომუნისტურ იდეებზე აღზრდილმა პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ „მშობლიური“ კომუნისტური პარტია – საბჭოთა სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ის პრინციპები, საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში წმიდათაწმიდად რომ იყო აღიარებული 1917 წლიდან**. დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ „გარდაქმნის“ გეგმის რეალიზებაში დიდი ძალა – მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული მოძრაობა – ჩაებმებოდა. **საბჭოთა სისტემის დემონტაჟისა და საბჭოთა კავშირის დაშლის კარგად გააზრებული სცენარის მიხედვით საბჭოთა კავშირის მესაფლავე სწორედ ეროვნული მოძრაობა უნდა ყოფილიყო**. „გარდაქმნის“ იდეოლოგები, ერთი მხრივ, საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემის ნგრევით შეშფოთებულ პოლიტიკურ და

სამხედრო ელიტას საბჭოთა კავშირის შენარჩუნების გარანტიას აძლევდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკებში სულ უფრო მზარდ ეროვნულ მოძრაობას ფარულად „საბჭოთა იმპერიის“ ნგრევისაკენ მოუწოდებდნენ.

მიხეილ გორბაჩოვმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს (1964–1982 წწ.) „უძრავობის“ წლები უწოდა. მიხეილ გორბაჩოვს პოლიტიკური მოსაზრებით არ უთქვამს, რომ „უძრავობის“ და თანაც „დიდი უძრავობის“ პერიოდი დაიწყო 1953 წლიდან და იგი ერთნაირად ეხებოდა როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის (1953–1964 წწ.), ისე ლეონიდ ბრეჟნევის (1964–1982 წწ.) მმართველობის პერიოდებს. პროცესი შეუქცევადი იყო და იგი გაგრძელდა 1982–1985 წლებშიც (იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში) ანუ იმ პერიოდში, რომელსაც **„კატაფალკებით რბოლას“ უწოდებენ.**

1953–1985 წლები საბჭოთა სისტემის სამოცდაათწლიან ისტორიაში თავისი არსით წარმოადგენდა **„უკუქცევის გზას“**. ეკონომიკის ზრდისა და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერის შენარჩუნების ფონზე სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი „უკუქცევის გზას“ დაადგა. აშკარაა, რომ ზესახელმწიფოს ისტორია გაიყო ორ პერიოდად: **იოსებ სტალინისა და იოსებ სტალინის შემდგომ პერიოდებად.** პირველი პერიოდის ფინალი **სოციალიზმი** იყო, მეორისა – **კაპიტალიზმი.**

საბჭოთა კავშირის ისტორიის მეორე ანუ იოსებ სტალინის შემდგომი პერიოდი (1953–1991 წწ.) თავის ხასიათით ორ ეტაპად იყოფა – **ევოლუციურ ეტაპად (1953–1985 წწ.) და რევოლუციურ ეტაპად (1985–1991 წწ.).** მეორე ეტაპის საბოლოო შედეგი იყო **საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა.**

საბჭოთა სისტემის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის ტენდენციებმა თავი იჩინეს ჯერ კიდევ იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში. ამ ტენდენციების შესახებ იმხანად არავინ საუბრობდა. ასეთი განწყობილება გაგრძელდა იოსებ სტალინის სიკვდილის (1953 წ.) შემდეგაც. იოსებ სტალინის მიერ შექმნილ სისტემას სტაბილურობის რამდენიმე სარტყელი ჰქონდა, რის გამოც მისი ერთი შეტევით, ერთბაშად მოსპობა წარმოუდგენელი იყო. სტაბილურობის თითოეული სარტყელი ცალ-ცალკე უნდა დაძლეულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელი სისტემის საბოლოოდ მოსპობას დიდი დრო დასჭირდებოდა. **იოსებ სტალინის მიერ შექმნილი სისტემის სტაბილურობის უკანასკნელი სარტყელი მოისპო მიწის გაყიდვის დაკანონებით.** ეს კი რუსეთში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა, ანუ სისტემის ნგრევა დაახლოებით 50 წელი გაგრძელდა.

საბჭოთა საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე ვერ ამჩნევდა იმას, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის წლებში მომხდარი დიდი ჩავარდნები (მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება, პურის კრიზისი და ა.შ.) ნიკიტა ხრუშჩოვის „სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის“ შედეგი კი არ იყო, არამედ საბჭოთა სისტემის კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენდა. საზოგადოება ასევე ვერ ამჩნევდა იმას, რომ ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში შემუშავებული სტერეოტიპი – **„გენერალური მდივანი ღუპავს ქვეყანას“** – სისტემის საძირკველში დაწყებული სერიოზული კრიზისის მიჩქმალვის ცდა იყო. საზოგადოებას არც ის ჰქონდა გაცნობიერებული, რომ, რაც ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში ხდებოდა, დაიწყო ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ე.წ. **„დაბალი ფენების“** გახრწნა (სახელმწიფო ქონების ქურდობა, დისციპლინის მოშლა წარმოების სფეროსა და არმიაში, კრიმინოგენული ვითარების გაუარესება), დასავლური მორალის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა (მილიონობით საბჭოთა ტურისტის მოგზაურობა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, უამრავი ანსამბლისა და თეატრის გასტროლები დასავლეთის ქვეყნებში, დასავლური ფილმების დემონსტრირება კინოთეატრებში და ტელევიზიით). დასავლური მორალის დამკვიდრებას ხელს უწყობდა ყოველგვარი საბჭოურის მიმართ ცინიზმის ზრდა, რაც ძალზე ოსტატურად კეთდებოდა. ე.წ. **„მაღალი საზოგადოება“**, რომელიც შესანიშნავად იყენებდა პრივილეგიებულ მდგომარეობას, ასევე იხრწნებოდა. ადამიანთა ეს კატეგორია ყველაფერს იღებდა ხელისუფლებისაგან, მაგრამ არაფერს არ აძლევდა სახელმწიფოს,

არაფერი არ აინტერესებდა, გარდა თავისი პირადი კეთილდღეობისა. ცნობიერად თუ არაცნობიერად ისინი იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ ეცხოვრათ „შემდეგ“, როცა სისტემის აღსასრული დადგებოდა.

„დაბალი“ და „მაღალი“ საზოგადოების გახრწნას ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გახრწნა და ის ეპოქა, რომლის არსი გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: **„წავიდა გენიოსების დრო, დადგა სულების დრო“ (იოსებ სტალინი)**. ნიკიტა ხრუშჩოვი იოსებ სტალინის ადგილზე, ლეონიდ ბრეჟნევი იოსებ სტალინის ადგილზე – ეს უკვე სისტემის კრიზისის მაჩვენებელი იყო.

„სულების“ ეპოქაში მოხდა ბევრი ისეთი რამ, რასაც სისტემა გარდაუვალი კრიზისისაკენ მიჰყავდა:

1. არ შემუშავებულა ეპოქის შესაბამისი და მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფცია. იოსებ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის პერიოდშიც კი ხელუხლებელი დარჩა XX საუკუნის 20–30–იან წლებში შემუშავებული შეხედულებანი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური კონცეფცია;

2. დისციპლინის მოშლა წარმოების სფეროსა და არმიაში;

3. სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების განუკითხავი ძარცვა მოსახლეობის ყველა ფენის მიერ;

4. მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, უკანონოდ მიღებული შემოსავლებით საზოგადოების მცირე ნაწილის გამდიდრება;

5. კორუფციის დამკვიდრება ქვეყანაში – სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ოჯახიდან დაწყებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოჯახით დამთავრებული;

6. საზოგადოების კრიმინალიზაცია, კრიმინალური დაჯგუფებებისა და კლანების ბატონობა;

7. ყველა დონის არჩევნების მასკარადად გადაქცევა. მასკარად იქცა როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ისე კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევნები;

8. მრავალეროვან სახელმწიფოში რუსული ველიკოდერჟავული შოვინიზმის პარპაში, ეროვნული საკითხის სრული იგნორირება;

9. დასავლურ სამყაროსა და საბჭოთა კავშირს შორის „რკინის ფარდის“ არარსებობის, ანუ დასავლური სამყაროს შესახებ ინფორმაციის განუხრელი ზრდის პირობებში კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობათა ურცხვად მტკიცება.

10. მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მუდმივი გაუარესების პირობებში პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მიერ იმისი თავხედური მტკიცება, რომ „ცხოვრება გახდა გაცილებით უკეთესი“.

11. ხელისუფლების (პარტიულის, საბჭოთა) ყველა რგოლის გახრწნა, უფსკრულის გაჩენა ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

12. საბჭოთა ხელისუფლების სრული თვითკომპრომეტაცია ქვეყნის მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

ნიკიტა ხრუშჩოვის მოღვაწეობის არსი გამოიხატებოდა შემდეგში: **სხვადასხვა გარემოებათა გამო ხელში ჩაგდებული ძალაუფლებისა და ზესახელმწიფოს მმართველის სადავეების შენარჩუნება**. ყოველივე ეს კარგად სჩანს 1953–1956 წლებში განვითარებული მოვლენების შუქზე: ლავრენტი ბერიას სიკვდილით დასჯა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა (მინისტრები, მოადგილეები, სამმართველოების უფროსები) განადგურება მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკებში; იოსებ სტალინის მომხრეების ე.წ. „ანტიპარტიული ჯგუფის“ განადგურება; მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა; საკადრო ცვლილებები არმიასა და ფლოტში და სხვ. ყოველივე ამით ნიკიტა ხრუშჩოვმა ნებისით თუ უნებლიეთ დაიწყო საბჭოთა სისტემის ნგრევა.

საბჭოთა სისტემის ნგრევის გზაზე უმნიშვნელოვანეს მიჯნას წარმოადგენდა ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XX ყრილობის დახურულ სხდომაზე (1956 წ.) და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება იოსებ სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ. ნიკიტა ხრუშჩოვი არც ისე მკამბიტი იყო, რომ არ სცოდნოდა: ყველაფერი უარყოფითი, რასაც იგი იოსებ სტალინს მიაწერდა – ეხებოდა საბჭოთა სისტემას, საბჭოთა სახელმწიფოს. ნიკიტა ხრუშჩოვმა აქცენტი პოლიტიკურ რეპრესიებზე გადაიტანა და მიზანსაც მიაღწია: უამრავი ადამიანი, რომელთა ახლობლები და ნათესავები პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირა, ნიკიტა ხრუშჩოვის მადლიერი დარჩა. ცხადია, იმხანად ყურადღება არავის მიუქცევია იმისათვის თუ როდის დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა კავშირში – იოსებ სტალინის ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ თუ გაცილებით ადრე. 1956 წლისათვის გასაიდუმლოებული იყო ის მასალა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გახდა ცნობილი. 1917 წლის თებერვალ–მარტის რევოლუციის გამარჯვებისა და მონარქიის დამხობის დღისათვის პეტროგრადის ორ ცნობილ საპრობილემში პოლიტპატიმართა უმნიშვნელო რაოდენობა იყო: შლისელბურგში – 63 კაცი, კრეტში – 50, ირკუტსკის საპრობილემში – 20. რეპრესიებისა მასშტაბი და პოლიტპატიმართა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. 1920 წლის ბოლოსათვის საბჭოთა რუსეთის 43 გუბერნიაში 84 საკონცენტრაციო ბანაკი არსებობდა. ამ ბანაკებში სასჯელს იხდიდა 25.336 კაცი. მათ გარდა ბანაკებში სასჯელს იხდიდა 24.000 „სამოქალაქო ომის ტყვე“, ძირითადად მეფის არმიისა და თეთრი არმიების ოფიცრები და ჯარისკაცები. საკონცენტრაციო ბანაკების განტვირთვის მიზნით ათასობით პოლიტპატიმარს ბორნებზე ათავსებდნენ და შემდეგ მდინარეებში ახრჩობდნენ. 1923 წლისათვის საბჭოთა კავშირის საპატიმროთა მთავარი სამმართველოს სისტემის 335 საკონცენტრაციო ბანაკში სასჯელს იხდიდა 68.297 კაცი, ყოველივე ეს კარგად უწყობდა ნიკიტა ხრუშჩოვმა, იგი ამ რეპრესიების თვითმიხედვით და მონაწილე იყო. 1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვს ჭკუა ეყო და პოლიტიკური რეპრესიები ერთი ადამიანის – იოსებ სტალინის – ნების გამოვლინებად წარმოადგინა. მასამ ეს დაიჯერა კიდევ. მაგრამ ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის, საბჭოთა კავშირშიც და საზღვარგარეთაც, ცხადი იყო: **პოლიტიკური რეპრესიები, XX საუკუნის 20–იან წლებშიც, 30–იან წლებშიც და 50–იანი წლების დამდეგსაც, საბჭოთა წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობდა და იგი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იყო აუცილებელი.** 20–იან წლებში იოსებ სტალინი, რომ ხელისუფლებისათვის ჩამოეცილებინათ პოლიტიკურ რეპრესიებს გაატარებდა ის, ვინც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებოდა (ლევ ტროცკი, გრიგოლ ზინოვიევი, ლევ კამენევი, ნიკოლაი ბუხარინი და სხვ.). ნიკიტა ხრუშჩოვის უგუნურმა პოლიტიკამ კაცობრიობის წინაშე საბჭოთა სისტემის ფიზიონომია წარმოაჩინა.

რით იყო გაპირობებული ნიკიტა ხრუშჩოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ძირს უთხრიდა საბჭოთა სისტემას და ე.წ. სოციალისტურ ბანაკს? მკამბიტი ადამიანიც კი არ დაიჯერებს იმას, რომ 1953–1956 წლებში და უფრო მოგვიანებითაც (1964 წლამდე) საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ან პირადად ნიკიტა ხრუშჩოვი გადაწყვეტილებებს იღებდა დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების გავლენით. ნიკიტა ხრუშჩოვს ნამდვილად ჰქონდა სურვილი იოსებ სტალინის მმართველობის წლებში შემუშავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპების შეცვლისა, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებისა, ზოგიერთი იდეოლოგიური დოგმის უარყოფისა. ასეთი აზრი დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების ყოველგვარი ჩარევის გარეშე საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში მომწიფდა. ამ აზრის მატარებელი მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვი არ ყოფილა. მთლიანობაში აღებული ეს იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა. ამასთან ერთად ნიკიტა ხრუშჩოვი და იმ პერიოდის პოლიტიკური ელიტა მზად არ იყო ამ ურთულესი ამოცანის გადასატარებლად. არ იყო ის ინტელექტუალური ძალა, რომელიც საბჭოთა სისტემის გარდაქმნის მეცნიერულად გააზრებულ, კომპლექსურ პროგრამას შეიმუშავებდა და მისი რეალიზაციის სტრატეგიასაც დასახავდა. ამიტომ იყო, რომ

ნიკიტა ხრუშჩოვის გაუაზრებელი რეფორმები აბსურდამდე მიდიოდა. იმ პერიოდის ვერც ერთმა რეფორმამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო – ზესახელმწიფო ქაოსმა მოიცვა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკონომიკა, სოციალური სფერო.

ნიკიტა ხრუშჩოვისეულმა „დათბობამ“ ნიადაგი მოუმზადა მიხეილ გორბაჩოვისეულ „გარდაქმნას“, ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელმაც პასუხი გასცა კითხვებს: 1) რამდენი წელი შეიძლება გასტინოს ზესახელმწიფოში „მმართველობითმა აბსურდმა“; 2) რამდენი წელი შეიძლება ტაკიმასხარამ ითამაშოს იდიოტის როლი და თან გეგმაზომიერად ანგრიოს ზესახელმწიფო. დღეს ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია ზუსტი პასუხი გავცეთ: **ათი წელი.**

„დათბობის“ და „გარდაქმნის“ შედარებისას ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: მიხეილ გორბაჩოვს გვერდში ედგა კარგად ორგანიზებული, უდაოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანების ჯგუფი, ნიკიტა ხრუშჩოვი კი „მმართველობით აბსურდში“ პრაქტიკულად მარტოდმარტო მოქმედებდა.

დღეს ჩვენ ვერ ვუპასუხებთ მეტად მნიშვნელოვან კითხვას: საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციასა და საბჭოთა კავშირის დაშლაში ვის ეკუთვნის პირველობა – მიხეილ გორბაჩოვს თუ ნიკიტა ხრუშჩოვს? თუმცა ამ კითხვას 1964 წელს გარკვეულწილად უპასუხა ოთხმოცდაათი წლის უინსტონ ჩერჩილმა: „სამწუხაროდ ამჟამად ცოცხალია ადამიანი, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას იმაზე 1000-ჯერ მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მე. ესაა ნიკიტა ხრუშჩოვი. მოდით, ტაში დავეუკრათ მას!“

ნიკიტა ხრუშჩოვის მოღვაწეობის შეფასებისას აუცილებელია დაისვას კითხვა: XX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ როგორ დაუშვა იოსებ სტალინის შემდეგ ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ისეთი მედროვის მოსვლა როგორც ნიკიტა ხრუშჩოვი იყო? ნიკიტა ხრუშჩოვი არ ყოფილა იოსებ სტალინის პოლიტიკური მემკვიდრე, ყველასათვის ცნობილი იყო იოსებ სტალინის აგდებული დამოკიდებულება ნიკიტა ხრუშჩოვისადმი. მაშ რა მოხდა? იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის ცნობილმა წარმომადგენლებმა ლავრენტი ბერია, ვიახესლავ მოლოტოვმა, გიორგი მალენკოვმა და სამხედრო ელიტის არანაკლებ მნიშვნელოვანმა ფიგურებმა როგორ დაუშვეს ნიკიტა ხრუშჩოვის გაპირველკაცება? ცხადია, ამაშიც დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებს ვერ დაადანაშაულებენ. მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას, იმ პოლიტიკოსებს და სამხედროებს, რომელთაც 1953 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი იმავე მოტივით გააპირველკაცეს, რა მოტივითაც 1613 წელს რუსეთის საერობო კრებამ მეფედ აირჩია ყველა კანდიდატს შორის უარესი – ახალგარდა, მაგრამ უკვე ფიზიკურად დაუძღურებული (გადაადგილება უჭირდა) და გონებასუსტი მიხეილ რომანოვი. თავის უპირატესობაში დარწმუნებული საერობო კრების ელიტა, ძირძველი ბოიარები, ირონიულად ამბობდნენ: „დაე ავირჩიოთ...“ უფრო მეტიც, პეტრე დიდის სიკვდილის (1725 წ.) შემდეგ რუსეთის იმპერიის ტახტზე ზედიზედ სამი მედროვე (ეკატერინე I, პეტრე II, ანა) აღმოჩნდა. ისინი რუსეთს საკმაო დიდხანს, 1725–1740 წლებში, განაგებდნენ. ზუსტად იგივე მოხდა 1953 წელს. ყველამ რაღაც „გათვალა“, თავისი არასერიოზულობით ცნობილი ნიკიტა ხრუშჩოვის გაპირველკაცება ყველას „რაღაცის“ გამო აძლევდლა ხელს... სახელმწიფოს ინტერესები 1953 წელს (ისევე როგორც 1613 წელს, 1725 წელს და შემდგომაც მრავალგზის) არავის გახსენებია. ნიკიტა ხრუშჩოვის გაპირველკაცებას შემთხვევითობას ვერ მივაწერთ. იოსებ სტალინი ისე გარდაიცვალა, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებულა სახელმწიფო ხელისუფლების ცვლის მექანიზმი. კონსტიტუცია ფარატიხა ქაღალდს წარმოადგენდა; ყველა დონის არჩევნები (მათ შორის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსიც) მასკარადად იყო ქცეული; ზესახელმწიფო კონსტიტუციისა და კანონების გვერდით ავლით იმართებოდა; უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე, სასამართლოზე მაღლა იდგა ერთი ადამიანის ნება. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ **იოსებ სტალინის გარდაცვალების**

**შემდეგ დაიწყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც არაფრით არ იყო რეგლამენტირებული. ეს იყო „ბრძოლა წესების გარეშე“.**

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისთვის დაწყებული „წესების გარეშე ბრძოლაში“ ნიკიტა ხრუშჩოვს შემთხვევით არ გაუმარჯვია. ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომწიფდა აზრი, რომელიც შეიძლება შემდეგი სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს: **“იოსებ სტალინის მმართველობის დასასრული არ უნდა გამხდარიყო ლავრენტი ბერიას მმართველობის დასაწყისი.”** საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ორმოცდაცამეტი წლის ლავრენტი ბერიას მოსვლა იმას ნიშნავდა, რომ კრემლში ქართველთა ბატონობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა. ამის გარანტიას იძლეოდა ლავრენტი ბერიას ნიჭი, გამოცდილება და ასაკი. ნიკიტა ხრუშჩოვი ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში იმ პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ მიიყვანა, რომელსაც ლავრენტი ბერიას გაპირველკაცება არ სურდა. ცხადია, ნიკიტა ხრუშჩოვი “გარდამავალი პერიოდის მმართველად” განიხილებოდა და იმას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იგი მთელ ათ წელს დაჰყოფდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში. ცხადია, როცა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ნებით ნიკიტა ხრუშჩოვი ლავრენტი ბერიას დაუპირისპირდა, იგი დიდ რისკზე წავიდა. ლავრენტი ბერიას მკვლელობის შემდეგ პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენება სცადა მაგრამ უშედეგოდ – მედროვემ ვერაგობითა დაუნდობლობით ყველას აჯობა.

ნიკიტა ხრუშჩოვის „მმართველობითი აბსურდის“ პერიოდის (1953–1964 წწ.) მთავარი უარყოფითი შედეგი მაინც ის იყო, რომ დაიწყო საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის თვითკომპრომენტაციის პროცესი. ამ პროცესის დაწყება უმთავრესად გაპირობებული იყო არა დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების მიზანსწრაფული მოღვაწეობით, არამედ პირველ რიგში, პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის უგუნური, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობით.

1964 წლის ოქტომბერში განხორციელებული გადატრიალების შედეგად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში **ლეონიდ ბრეჟნევი** მოვიდა. ისევე როგორც 1953 წელს, 1964 წელსაც ადგილი ჰქონდა “ბრძოლას წესების გარეშე.” ხელისუფლების გადაცემის კონსტიტუციური მექანიზმი კვლავაც არ არსებობდა. ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა ლეონიდ ბრეჟნევის მხრიდან ძალიან გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მანამდე იგი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, არ იყო გაბედული, რისკიანი ადამიანი.

სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: საერთოდ რატომ დადგა ლეონიდ ბრეჟნევის გაპირველკაცების საკითხი? ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებას საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანები ამზადებენ. მათ კარგად იცოდნენ თუ რა არარაობას წარმოადგენდა ლეონიდ ბრეჟნევი, თუმცა არჩევანი მაინც მასზე შეაჩერეს. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით. **პირველი.** თუ ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამჟღავნდებოდა, შეთქმულები ყველაფერს ლეონიდ ბრეჟნევის გადააბრალებდნენ; **მეორე.** შეთქმულების წარმატების შემთხვევაში კი გაპირველკაცდებოდა, მაგრამ, შეთქმულთა აზრით, გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი თავიდან მოცილება ადვილი იქნებოდა.

მართალია ლეონიდ ბრეჟნევი არ განეკუთვნებოდა თანამდებობრივი დაწინაურებისათვის, ხელისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლ ადამიანებს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი ზედმიწევნით კარგად არ ფლობდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდებს. ეს ცოდნა ლეონიდ ბრეჟნევიმ შესანიშნავად გამოიყენა – მისავე თანამებრძოლების ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან განდევნის პროცესში.

ლეონიდ ბრეჟნევი ნიჭით, პოლიტიკოსისათვის აუცილებელი ალლოთი, გამოცდილებით, მიზანდასახულობით, გაბედულებით ბევრად ჩამოუვარდებოდა ნიკიტა ხრუშჩოვს. **ლეონიდ ბრეჟნევის არ ჰქონდა არც პოლიტიკოსის, არც დიპლომატის, არც თეორეტიკოსის, არც მხედართმთავრის ნიჭი.** ეს იყო გაუნათლებელი ადამიანი. თუ ყველა



მონაცემს გავაანალიზებთ ცხადი გახდება, რომ ლეონიდ ბრეჟნევი შეიძლება ყოფილიყო სამეურნეო ხაზით – კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან ქარხნის დირექტორი, პარტიული ხაზით – სკკპ საქალაქო ან რაიონული კომიტეტის მდივანი. ამ თანამდებობებზე მუშაობაშიც მას დიდად შეუშლიდა ხელს ორი უარყოფითი თვისება – სიზარმაცე და ლოთობა.

თუ იოსებ სტალინის ოცდაათწლიანი მმართველობის შემდგომ შესაძლებელი გახდა ნიკიტა ხრუშჩოვისთანა უღირსის ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლა, ცხადია, არაფერია საკვირველი იმაში, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის ათწლიანი „მმართველობითი აბსურდის“ შემდეგ საბჭოთა კავშირში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა კიდევ უფრო უღირსი ლეონიდ ბრეჟნევი. **ნიკიტა ხრუშჩოვმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფო შეიძლება სულელმაც მართოს, ლეონიდ ბრეჟნევი კი დაამტკიცა, რომ სახელმწიფო შეიძლება საერთოდ არ მართოს...**

ლეონიდ ბრეჟნევის მოსვლა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა წყობილების, საბჭოთა კავშირის **თვითკომპრომეტაციის** პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

ლეონიდ ბრეჟნევის არ შეუმუშავებია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი სტრატეგია. არა და ნიკიტა ხრუშჩოვის გაუახრებელი რეფორმების წყალობით ზესახელმწიფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო. აუცილებელი იყო სასწრაფო ღონისძიებების გატარება, რათა ეკონომიკაში კრიზისული ვითარების დაძლევა დაწყებულიყო. ამის ნაცვლად ზესახელმწიფოს პირველი პირი დაკავებული იყო პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ძალთა დაბალანსებით, თავისი მომხრეების დაწინაურებით, არასასურველთა მოცილებით. სწორედ ამიტომ „საკადრო თამაშებით“ გართულ ლეონიდ ბრეჟნევის შეუმჩნეველი დარჩა ბევრი პოლიტიკური ინტრიგა, რომელიც მას გარშემო იხლართებოდა. მან აიტაცა დასავლურ სამყაროში შემუშავებული და საბჭოთა კავშირისათვის დამღუპველი ბევრი პროექტი (განიარაღება, ნავთობის ექსპორტი, ადამიანის უფლებათა დაცვა და ა.შ.). ლეონიდ ბრეჟნევის არც კი გაუანალიზებია უნგრეთში საბჭოთა ჯარების მიერ აჯანყების ჩახშობის (1956 წ.) დიდი უარყოფითი შედეგები, ისე მიიღო გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის თაობაზე (1968 წ.). უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანას შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვა. ხსენებული მოვლენების უარყოფითი შედეგების გაუთვალისწინებლობა ლეონიდ ბრეჟნევის მეორე დიდ შეცდომად დაუჯდა – საბჭოთა კავშირი პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩაერია, რითაც ბიძგი მისცა ე.წ. სოციალისტური ბანაკის დაშლას. ლეონიდ ბრეჟნევის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 20–30 წლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში პატრიოტულ, ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა, ანტირუსულ ძალთა სიძლიერეზე. იგი 1975 წლის აღმოსავლეთ ევროპასა და 1945 წლის აღმოსავლეთ ევროპას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა. ლეონიდ ბრეჟნევის, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატის, სრულ უვიცობაზე მეტყველებს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (1979 წ.). ამ გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს კრიზისიდან გამოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა – ნგრევის პროცესი შეუქცევადი იყო.

ნიკიტა ხრუშჩოვი გარემოცვისათვის ასე თუ ისე უმართავი პიროვნება იყო, მისი მოქმედების პროგნოზირება ძნელი იყო. პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობებზე მყოფ ადამიანებს გარანტირებული არაფერი ჰქონდათ. ლეონიდ ბრეჟნევის კი გარემოცვა, უფრო ზუსტად კლანი, მართავდა. კლანში ჩვენ არ ვგულისხმობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. კლანი წარმოდგენდა ლეონიდ ბრეჟნევის ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს. მედროვეთა ამ ხროვას არც მორალი ჰქონდა და არც სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიშანწყალი ეტყობოდა. კლანი ქვეყანას ძარცვავდა და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდა. საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში კლანური მმართველობის დამყარებას მოჰყვა კლანური მმართველობის დამყარება მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობასა და უფრო დაბალ რგოლებშიც (ოლქებში,

რაიონებსა და ქალაქებში). კლანების ძალაუფლება შეუზღუდავი იყო როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე (რესპუბლიკებში, ოლქებში). ლეონიდ ბრეჟნევის კლანის ნება კანონზე და თვით კონსტიტუციაზე მაღლა იდგა.

რატომ არ გაუწია კლანური მმართველობის დამყარებას წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ? ნიკიტა ხრუშჩოვის „მმართველობითი ქაოსის“ ათწლეულის შემდეგ პოლიტიკური და სამხედრო ელიტა მშვიდ ცხოვრებას ესწრაფოდა, კლანური მმართველობა კი სწორედ მშვიდი ცხოვრების საწინდარი იყო. **პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ სახელმწიფოს ინტერესები უგულბებლყო და უწყებრივ ან რეგიონალურ კლანებში მოიკალათა და მშვიდი ცხოვრება დაიწყო. ნიკიტა ხრუშჩოვისეული „მმართველობითი ქაოსი“ ლეონიდ ბრეჟნევისეულმა „მშვიდმა მმართველობამ“ შესცვალა.**

ლეონიდ ბრეჟნევის „მშვიდი მმართველობის“ პერიოდში (1964–1982 წწ.) სახელმწიფოს ბიუჯეტის შეკვების მთავარ წყაროს ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა. ლეონიდ ბრეჟნევის კლანი არც კი ფიქრობდა ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მთავარი ეკონომიკური სტრატეგია ნავთობის, გაზის და სხვა ნედლეულის ექსპორტს გულისხმობდა. დასავლეთში საბჭოთა კავშირს აღიქვამდნენ როგორც ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყანას. 1964 წლისათვის საბჭოთა კავშირი ინდუსტრიული განვითარების მესამე სტადიაში იმყოფებოდა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩებოდა არა პროდუქციის რაოდენობით, არამედ ხარისხით. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის წლებში აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ამის სანაცვლოდ მრეწველობის პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც შემცირდა, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუარესდა. ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავლის მცირე ნაწილიც კი არ მოხმარებია სამრეწველო სიმძლავრეების განახლებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. ნავთობის გაყიდვით მიღებული ასობით მილიარდი დოლარი იხარჯებოდა საკვები პროდუქტის, ტანსაცმლის, მედიკამენტების და სხვ. შესყიდვაზე. დიდი რაოდენობით ფულს იტაცებდა ლეონიდ ბრეჟნევის კლანი, უწყებრივი და რეგიონალური კლანები, დანაშაულებრივი დაჯგუფებანი.

ლეონიდ ბრეჟნევის კლანმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის მითვისება XX საუკუნის 70–იანი წლების დამდეგიდან დაიწყო. ეკონომიკის ნგრევაც ამ პერიოდიდან განსაკუთრებით ძლიერდება. **კლანურმა აზროვნებამ საერთოდ ჩაკლა სახელმწიფოებრივი აზროვნება.** საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბება დაიწყო „ჩრდილოვანმა ეკონომიკამ“. ჩრდილოვანი ეკონომიკა ნთქავდა სახელმწიფო ეკონომიკას, ბატონობდა მასზე. ლეონიდ ბრეჟნევის კლანი იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი მფარველი. უმძიმესი მდგომარეობა იყო რეგიონებში (მოკავშირე რესპუბლიკებში, ოლქებში). რეგიონალური ლიდერები ერთმანეთს ეჯობებოდნენ სახელმწიფო ქონების ძარცვასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისებაში. რეგიონებში დანაშაულებრივი გზით დაგროვილ დიდ ფულს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელები მოსკოვში ლეონიდ ბრეჟნევის კლანთან დაახლოებისათვის ან სულაც მოსკოვში გადაბარებისათვის იყენებდნენ. ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა, მაგრამ კლანები მის შეზღუდვას არავის ანებებდნენ. საზოგადოება ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას „ცეხოვიკის“ მოღვაწეობის მაგალითზე გრძნობდა. ჩრდილოვანი ეკონომიკის პირმშოს „ცეხოვიკის“ კომერციული „ნიჭი“ იმაში გამოიხატებოდა რომ ძლიერი მფარველით გათამამებული შეუზღუდავად ძარცვავდა სახელმწიფო ქონებას და მიღებულ შემოსავალს თავის მფარველს აბარებდა (ცხადია, „ცეხოვიკი“ თავის თავსაც არ ივიწყებდა). უფრო გასაგებად რომ ვთქვათ „ცეხოვიკი“ სახელმწიფოს კუთვნილ (სამამულო ან იმპორტულ) ნედლეულს უფასოდ იღებდა, სახელმწიფოს კუთვნილი ტექნიკის (მანქანა-დანადგარების) გამოყენებით ამზადებდა პროდუქციას, მაგრამ მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში არ შეჰქონდა. „ცეხოვიკების“ პერიოდული დარბევები და დაპატიმრებები მხოლოდ საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით ხორციელდებოდა. „ცეხოვიკი“ ჩრდილოვანი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი იყო, რის გამოც მის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა.

ჩრდილოვან ეკონომიკას ჰქონდა თავის არსებობის წესი: ფინანსირება, კონტროლი წარმოებაზე, მიღებული შემოსავლების განაწილება, იდეოლოგია, ინტელექტუალური ცენტრები და ბოლოს – **„ჩრდილოვანი მინისტრთა საბჭო“**. ერთი სიტყვით, ეს იყო **„სახელმწიფო სახელმწიფოში“**.

ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის წლებში კორუფციაში ჩაეფლო სკკპ ცენტრალური და ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) ორგანოები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. კორუფციის გზით მნიშვნელოვან თანამდებობებზე მოკალათებული მოხელეები შემოსავლის წყაროდ სახელმწიფო ქონების ქურდობას აქცევდნენ. ყოველივე ეს ხდებოდა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებთან შეთანხმებით. კორუფციამ და სახელმწიფო ქონების ქურდობამ ფეხი მოიკიდა არმიაში. არმიაში ქურდობა მცირე მასშტაბიდან (ჯარისკაცის ულუფის მოპარვიდან) დაიწყო და მალე წარმოდგენელ მასშტაბებს (სამხედრო ტექნიკისა და სტრატეგიული ნედლეულის ქურდობა) მიაღწია. დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონება ნიაველები და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა ჯარში. კორუფციის წყაროდ იყო ქცეული საყოველთაო საგაღებულო სამხედრო სამსახურში (ჯარში) გაწვევის მთელი სისტემა.

„ჩრდილოვანმა ეკონომიკამ“ და სახელმწიფო ქონების ძარცვამ მოშალა საბჭოთა (სახელმწიფო) ეკონომიკა, კორუფციის დამკვიდრებამ ხელისუფლების ყველა რგოლში (განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურასა და სასამართლო სისტემაში) ძირი გამოუთხარა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას.

ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის დასასრულისათვის (XX საუკუნის 80–იანი წლების დამდეგს) საბჭოთა კავშირში ფუფუნებით ცხოვრობდა დაახლოებით 600 ათასი ოჯახი (2,5 – 3 მილიონი ადამიანი). ყოველწლიურად ამ ოჯახების მიერ მოხმარებული ფულის საერთო რაოდენობაში (100%) ოფიციალური შემოსავლით (ხელფასით) მიღებული ფული მხოლოდ 1–3%-ს უდრიდა. ამ 600 ათასი ოჯახიდან უმრავლესობას შეადგენდნენ ე.წ. ნომენკლატურული მუშაკები, რომლებიც „ჩრდილოვანი ეკონომიკიდან“ იღებდნენ უკანონო შემოსავალს, ან ჰქონდათ სხვა უკანონო შემოსავალი.

კლანების ბატონობის შედეგი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ერთი ცენტრიდან მხოლოდ ფორმალურად იმართებოდა, ყველა რგოლში გამეფებული იყო ქაოსი. მაგალითად, საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ღებოდა მოწეული ხორბლის 30% (არ კმაროდა ხორბლის საშრობები). ამავე დროს დიდი რაოდენობით ფული იხარჯებოდა ხორბლის მოსავლიანობის გაუმჯობესებისათვის (ე.ი. კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ხორბალი რომ დამპალიყო), ხოლო ხორბლის საშრობების აშენებაზე არავინ ფიქრობდა. დიდი რაოდენობით ფული იხარჯებოდა ახალი, დიდი სამრეწველო სიმძლავრეების მშენებლობაზე, ხოლო ახალი ტექნოლოგიების გარეშე დარჩენილი ძველი ქარხნები წაგებაზე მუშაობდნენ, უხარისხო პრდუქციას უშვებდნენ. საბოლოო ჯამში **მიხეილ გორბაჩოვმა ჩაიბარა სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა დიდი სამრეწველო სიმძლავრეები, რომელთა ერთი ნაწილის პროდუქციას დასავლური სამყარო მოიხმარდა, ხოლო მეორე ნაწილის პროდუქცია იმდენად უხარისხო იყო, რომ მას მომხმარებელი არ ჰყავდა. სწორედ ეს იყო მიზეზი საბჭოთა კავშირში ხარისხიანი საქონლის მწვავე დეფიციტისა.**

ცხადია, ლეონიდ ბრეჟნევი უძლური იყო შეექმნა ხელისუფლის შეცვლის საიმედო სისტემა. ეს სისტემა უნდა დამყარებოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას. ხელისუფლების შეცვლის საიმედო, კონსტიტუციური მექანიზმის არარსებობა ლეონიდ ბრეჟნევის სიცოცხლის ბოლო წლებში ამწვავებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლას. ამის გამო ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალებაც საიდუმლოებითაა მოცული.

ლეონიდ ბრეჟნევის პოლიტიკური მემკვიდრე **იური ანდროპოვი (1982–1984 წწ.)** საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში მოვიდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. 1967 წელს ლეონიდ ბრეჟნევი თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის მოულოდნელად, სასწრაფოდ, შეითხოხილი ბრალდებით თანამდებობიდან გაათავისუფლა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **გ. სემიჩასტნი** და მის ნაცვლად იური ანდროპოვი დანიშნა. ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების დროისათვის (1982 წ.) იური

ანდროპოვს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მან დასძლია კონკურენტი კონსტანტინე ჩერენკოს წინააღმდეგობა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში აღმოჩნდა. იური ანდროპოვი იყო ადამიანი, რომელიც კარგად უთავსებდა ერთმანეთს **გარეგნული ლიბერალიზმსა და შინაგან სისასტიკეს.**

1983 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იური ანდროპოვმა განაცხადა: 1) სათანადო დონეზე არ იყო შესწავლილი საბჭოთა საზოგადოება, კერძოდ, ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ეკონომიკური, 2) ყოველივე ზემოთ თქმული გახდა მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოქმედებდა ემპირიულად, არარაციონალურად, ცდებითა და შეცდომებით.

იური ანდროპოვის ეს სიტყვები მაშინვე სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული, ექებდნენ ქვეტექსტს. ერთ-ერთი ვერსიით იური ანდროპოვს უნდოდა ეთქვა: საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებს არ აძლევდა საშუალებას რეალურად, ობიექტურად შეეფასებინათ საბჭოთა სისტემა, მისი განვითარების კანონზომიერებანი და მიღწეული შედეგები.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსული იური ანდროპოვი თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე ერთადერთ მიზანს ისახავდა: **ზესახელმწიფოს მიყვანა სრულ აბსურდამდე.** ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლას იგი ოსტატურად ნიღბავდა, მაგალითად, ისეთი პოპულისტური ღონისძიებით, როგორც იყო შრომითი დისციპლინის აღდგენა წარმოებებსა და დაწესებულებებში.

იური ანდროპოვს ძლიერი მტრები ჰყავდა. 1983 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მას ზემოთ ხსენებული სიტყვა გააწყვეტინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კონსტანტინე ჩერენკომ და განაცხადა: „სხვათაშორის ჩემთვის ცნობილია, რომ ამ დარბაზში არიან ადამიანები, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ უცხოელებთან საუბრებში გაავრცელონ ჩვენთვის მავნე ინფორმაცია. მე ამჯერად არ დავასახელებ გვარებს, ამხანაგებმა თვითონ იციან ვინ მყავს მე მხედველობაში. დაე მათ დაიხსომონ – ეს მათთვის უკანასკნელი გაფრთხილებაა“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები კარგად მიხვდნენ, რომ ეს „უკანასკნელი გაფრთხილება“ პირველ რიგში იური ანდროპოვს ეხებოდა.

იური ანდროპოვი უნდა მიხვედრილიყო, რომ მისი მოცილება უნდოდათ. იმასაც უნდა მიმხვდარიყო, რომ მისი მოცილებით მიხეილ გორბაჩოვს უკვალავდნენ გზას. ალბათ ეს იყო მიზეზი იური ანდროპოვსა და მიხეილ გორბაჩოვს შორის ურთიერთობის გაუარესებისა. სიცოცხლის ბოლო თვეებში იური ანდროპოვი თავისთან ხშირად იწვევდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, ოღონდ არა მიხეილ გორბაჩოვს. მხოლოდ უშუალოდ სიკვდილის წინ შეხვდა იური ანდროპოვი **მიხეილ გორბაჩოვსა და ეგორ ლიგაჩოვს.**

იური ანდროპოვის სიკვდილი ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც ლეონიდ ბრეჟნევისა. იური ანდროპოვის პოლიტიკური მემკვიდრე **კონსტანტინე ჩერენკო (1984–1985)**, მართალია, უკვე მძიმედ ავადმყოფი მოვიდა საბჭოთა კავშირი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ მისი გარდაცვალებაც ხელოვნურად დააჩქარეს.

რა იყო მიზეზი იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერენკოს მწვავე დაპირისპირებისა? იყო თუ არა ეს პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ორი დაჯგუფების დაპირისპირება, რომელთაგან ერთის მიზანი იყო საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება (იური ანდროპოვი), ხოლო მეორისა საბჭოთა სისტემისა და საბჭოთა კავშირის შენარჩუნება (კონსტანტინე ჩერენკო)? იური ანდროპოვი საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის კარგად გააზრებული გეგმის განხორციელებას ცდილობდა, მას მხარს უჭერდა დასავლური სამყარო. კონსტანტინე ჩერენკოს არანაირი გეგმა არ გააჩნდა, მისი მომხრეები მხოლოდ არსებულის შენარჩუნებას – ლეონიდ ბრეჟნევისეული ეპოქის გახანგრძლივებას ცდილობდნენ. მაშინ რატომ დაუშვა დასავლურმა სამყარომ იური ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე ჩერენკოს საბჭოთა კავშირის

პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსვლა? ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს: კონსტანტინე ჩერენკოს მმართველობის პერიოდში საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის თვითკომპრომეტაციის პროცესი ბოლომდე უნდა მისულიყო, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა “გარდაქმნის” დაწყებას. ავადმყოფი კონსტანტინე ჩერენკო და მისი მომხრეები რღვევის პროცესის შეჩერებას სულ ერთია მაინც ვერ შეძლებდნენ.

ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების (1982 წ.) შემდეგ ვინც არ უნდა მოსულიყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის შენარჩუნება შეუძლებელი იყო, დასავლურ სამყაროს სპეცსამსახურებს იმდენად ძლიერი პოზიცია ჰქონდათ, რომ არასასურველი პოლიტიკური ლიდერის თავიდან მოცილება მათთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა ის, რომ საბჭოთა პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის გადარჩენის გეგმის მონახაზიც კი არ გააჩნდა, ხოლო დასავლურ სამყაროს კი უკვე მზად ჰქონდა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური პროგრამა.

იოსებ სტალინის გარდაცვალებით ახალი ეპოქა დაიწყო საბჭოთა სისტემის ისტორიაში – დაიწყო ნგრევა. ნგრევის პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იგი მოიცავს ნიკიტა ხრუშჩოვის „მმართველობითი ქაოსის“ პერიოდს (1953–1964 წწ.) ლეონიდ ბრეჟნევის „მშვიდი მმართველობის“ პერიოდს (1964–1982 წწ.), იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერენკოს მმართველობის პერიოდს ანუ „კატაფალკების რბოლის“ პერიოდს (1982–1985 წწ.). საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა დასრულდა მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდით ანუ „გარდაქმნის“ პერიოდით (1985–1991 წწ.).

„გარდაქმნის“ პერიოდში (1985–1991 წწ.) საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა მეთოდურად ხორციელდებოდა:

**პირველი.** 1986 წლის 19 ნოემბერს მიღებული იქნა კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ.

**მეორე.** 1988 წლის 26 მაისს მიღებული იქნა კანონი კოოპერაციის შესახებ. ამ ორი კანონით დაიწყო საბჭოთა სისტემის ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების ნგრევა.

**მესამე.** 1988 წლის ზაფხულში აზერბაიჯანის შემადგენლობაში არსებული მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება სომხეთთან შეერთების შესახებ. ამით დაიწყო საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ნგრევა.

**მეოთხე.** 1989 წელს „გარდაქმნის“ გეგმის თანახმად საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა „სახალხო დეპუტატთა ყრილობა“. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ყრილობაზე ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ბალანსი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იქნებოდა – მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენიტეტს მოითხოვდნენ. შემდეგ დაიწყებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ავტონომიური წარმონაქმნების მოკავშირე რესპუბლიკებიდან გასვლისათვის მოძრაობა. მოსკოვი ამ პროცესების მართვას ვეღარ შესძლებდა.

**მეხუთე.** 1991 წლის მოსკოვში დაიწყო წინასწარ დაგეგმილი „პუტჩი“. მიხეილ გორბაჩოვმა „პუტჩი“ შესანიშნავად გამოიყენა „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე ძალების გამოაშკარავებისა და განადგურებისათვის.

**მექვსე.** 1990–1991 წლებში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირში შემაჯავმა მოკავშირე რესპუბლიკებმა.

**მეშვიდე.** 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას შორის დადებული ბელოვეუს შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

საბჭოთა სისტემის ნგრევა და საბჭოთა კავშირის დაშლის პირველმა ნიშნებმა, როგორც ავღნიშნეთ, ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიკვდილის (1953 წ.) შემდეგ იჩინა თავი. ეს პროცესი შეუქცევადად განვითარდა ნიკიტა ხრუშჩოვისა (1953–1964 წწ.) და ლეონიდ

ბრუნევის (1964–1982 წწ.) მმართველობის წლებში. საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ სისტემური ხასიათი მიიღო 1985 წლიდან „გარდაქმნის“ დაწყებით.

ის, რაც „გარდაქმნის“ წლებში დაინგრა, ორ იერარქიულ დონედ შეიძლება წარმოვიდგინოთ: **პირველი იერარქიული დონე** წარმოდგენილი იყო: ა) მსოფლიოს სოციალისტური სისტემით (პოლიტიკური თვალსაზრისით), ბ) ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოთა (ეკონომიკური თვალსაზრისით), გ) ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციით (სამხედრო თვალსაზრისით). „გარდაქმნის“ გეგმით თანახმად საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1989–1990 წლებში, სწორედ პირველი იერარქიული დონე იქნა ლიკვიდირებული. **მეორე იერარქიული დონე** წარმოდგენილი იყო თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკით. რესპუბლიკებში მუდამ შეიმჩნეოდა ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. 1922–1953 წლებში ცენტრიდანული ძალების ყოველგვარი ქმედება სასტიკად იხვეობოდა. ამავე დროს 1922–1953 წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკა განიცდიდა გარეშე ძალის გავლენას. მაგალითად, ლიტვა, ლიტვია და ესტონეთი დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის გავლენას განიცდიდა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და აზერბაიჯანი აღმოსავლური ანუ ისლამური ცივილიზაციის გავლენის სფეროს წარმოადგენდა, საქართველო დასავლური სამყაროს ღირებულებებს მიიჩნევდა იდეალად. საბჭოთა კავშირის დეცენტრალიზაციის პროცესი ნათლად იკვეთებოდა ნომენკლატურული კლანების ჩამოყალიბების ფონზე. ასეთ ნომენკლატურულ კლანებს განეკუთვნებოდნენ: **დნეპროპეტროვსკი – კიევი (უკრაინა), სვერდლოვსკი – ურალი, ჩრდილო კავკასია, ლენინგრადი, მოსკოვი (რუსეთი).**

საბჭოთა კავშირი მთლიანობაში აღებული წარმოადგენდა მიზანსწრაფულ სისტემას, მაგრამ სისტემის საბოლოო მიზნად კომუნიზმის აშენების გამოცხადება მოკლებული იყო ყოველგვარ რეალობას.

1985–1991 წლებში საბჭოთა სისტემის ნგრევა ამგვარად განხორციელდა:

**პირველ ეტაპზე** არსებობდა ძლიერი და ერთიანი **საკავშირო ცენტრი**. მოკავშირე რესპუბლიკებს მხოლოდ ამ ცენტრთან ჰქონდათ კავშირი. საგარეო კავშირურთიერთობანი საერთო იყო და იმავე ცენტრიდან იმართებოდა. არსებობდა ერთიანი სახელმწიფო საზღვარი.

საბჭოთა სისტემის ნგრევის **პირველ საფეხურზე** მოხდა **საინფორმაციო ცენტრის** ხელში ჩაგდება საინფორმაციო ცენტრის მიზანს შეადგენდა: შინაგანი წინააღმდეგობების წარმოჩენა და მათი გამწვავება, ცენტრისკენული ძალებისა და ძველი ცენტრის კამპრომეტირება, ცენტრიდანული ძალებისა და ახალი ცენტრების წახალისება.

საბჭოთა სისტემის ნგრევის **მეორე საფეხურზე** განხორციელდა ძველ ცენტრში ფინანსებისა და მატერიალურ ფასეულობათა შედინების შეწყვეტა.

საბჭოთა სისტემის ნგრევის **მესამე საფეხურზე** ახალი კავშირების ჯერ დე ფაქტო, ხოლო შემდეგ დე იურე დამკვიდრდა.

ამ სამი ეტაპის წარმატებით განხორციელებით ძველი (საკავშირო) ცენტრი დასუსტდა და საბოლოოდ, მთლიანად დაჰკარგა ფუნქცია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა როლი შეასრულა მიხეილ გორბაჩოვმა „გარდაქმნაში“ (საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციასა და საბჭოთა კავშირის დაშლაში)? ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მიხეილ გორბაჩოვს „გარდაქმნის“ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი ამ პროგრამას დაეთანხმა და „გარდაქმნის“ ფორმალური ლიდერობაც იკისრა. ცხადია, მიხეილ გორბაჩოვმა „გარდაქმნის“ საბოლოო მიზანი ვერ ამოიცნო. მთლად ნათელი არ არის საბჭოთა სისტემის ნაცვლად რომელი სისტემის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად მიხეილ გორბაჩოვი. არჩევანი ალბათ კაპიტალიზმსა და ჩინურ მოდელს შორის უნდა გაკეთებულიყო. სამაგიეროდ ცხადია, რომ მიხეილ გორბაჩოვის გეგმა საბჭოთა კავშირის დაშლას არ ითვალისწინებდა და მას ზესახელმწიფოს მოდერნიზება სურდა. ამ იდეამ გამოხატულება ჰპოვა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების (ნოვო ოგარიევის) პროექტში. ახალი სამოკავშირეო სახელმწიფო კი

მიუღებელი იყო „გარდაქმნის“ ნამდვილი იდეოლოგიებისათვის. იმ ეტაპზე (1990–1991 წწ.) ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს (და არა სახელმწიფოთა თანამეგობრობის) შექმნას შეიძლებოდა ხელი შეეშალა საბჭოთა სისტემას სრული ნგრევისათვის. გარდა ამისა დასავლური სამყაროსათვის მიუღებელი იყო ახალი, თუნდაც არასაბჭოთა, ზესახელმწიფოს შენარჩუნება. მიხეილ გორბაჩოვი მიხვდა, რომ ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა დასავლურმა სამყარომ ჩაშალა, ამ იდეას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები და პირველ რიგში რუსეთის ფედერაცია დაუპირისპირა. მიხეილ გორბაჩოვის განწირული ცდები დასავლურმა სამყარომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გაანეიტრალა. დასავლურმა სამყარომ ორიენტაცია უკვე **ბორის ელცინზე** აიღო. მიხეილ გორბაჩოვი უმნიშვნელო ფიგურად იქცა.

**მეორე ეტაპზე** ძლიერი ძველი ცენტრის ნაცვლად შეიქმნა რამდენიმე ცენტრი. ამ პერიოდისათვის აღარ არსებობს ერთიანი სახელმწიფო საზღვარი, ახალი ცენტრები დამოუკიდებელ (სუვერენულ) სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანდნენ (1991 წ.). ყოველი ცენტრი დამოუკიდებლად ახორციელებდა საგარეო კავშირურთიერთობებს.

საბჭოთა კავშირის დაშლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მოკავშირე რესპუბლიკებმა. მოკავშირე რესპუბლიკები სამართლებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ამასთან ერთად, რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

1988–1991 წლებში მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობდა თვისობრივად **ახალი ელიტის** ჩამოყალიბება. ჩამოყალიბდა ახალი **რეგიონალურ-ადმინისტრაციული, იდეოლოგიური, ეკონომიკური, ძალოვანი ელიტები**. ისინი ლეგალურად მოქმედებდნენ. ახალი ელიტის დაპირისპირებას ძველ ცენტრთან „გარდაქმნის“ ფარული რეჟისორი მხარდაჭერას უცხადებდა და ყოველმხრივ ახალისებდა. ლიტვაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებამდე ჩამოყალიბდა „ქვეყნის დაცვის დეპარტამენტი“.

მოსკოვში ჩამოყალიბდა ძველი (საკავშირო) ცენტრის პარალელური სტრუქტურა – **მართვის დამოუკიდებელი ცენტრი** (რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა). ახალმა ცენტრმა მითვისა ძველი ცენტრის საერთო-საკავშირო ფუნქციები. **ახალი (რუსეთის) ცენტრი** შემდეგ გარიგებაზე წავიდა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრებთან და მათი დახმარებით ტერიტორიული დანაკარგების საფასურად თავიდან მოიცილა **ძველი (საკავშირო) ცენტრი**. მეთოდურად, ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა მოკავშირე რესპუბლიკების კავშირები ძველი ცენტრთან (ინფორმაციული, ფინანსური და სხვ.). ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საზღვარზე აამოქმედეს საბაჟო. შემდეგში მიაღწიეს იმას, რომ საბჭოთა კავშირის დეკლარატო საბჭოების ყრილობამ ეკონომიკური ექსპერიმენტის შესახებ მიღებული დადგენილებით დააკანონა ამ საბაჟოს მოქმედება. ძველი ცენტრის უგულვებელყოფის ფონზე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრები ცდილობდნენ საკავშირო ბიუჯეტიდან მიეღოთ რაც შეიძლება მეტი. მოკავშირე რესპუბლიკების ახალი ელიტა ამას ძალიან ადვილად ახერხებდა, ახერხებდა არა დიპლომატიური ნიჭის წყალობით, არამედ იმიტომ, რომ ეს პროცესი სანქცირებული იყო იმ ძალთა მიერ, რომელმაც შეიმუშავა „გარდაქმნა“ – საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პროგრამა.

საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) როგორც საბჭოთა სისტემის და ზესახელმწიფოს წარმართველი პოლიტიკური ძალის ნეიტრალიზაციას. სკკპ დასუსტება და ნეიტრალიზაცია ადვილი საქმე არ იყო. „გარდაქმნის“ გეგმა ამ შემთხვევაშიც უნაკლო აღმოჩნდა. ამ გეგმის თანახმად უნდა მომხდარიყო „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე სკკპ ელიტის (პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, სამხედროები და ა.შ.) დარაზმვა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პროვოცირება. ეს სცენა შესანიშნავად იქნა გათამაშებული 1991 წლის აგვისტოში. კომუნისტური ელიტა ერთი ხელის მოსმით იქნა ნეიტრალიზებული – საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პოლიტიკური ასპარეზი დასტოვა.

1991 წლის აგვისტოს პუტჩის დამარცხებით მიხეილ გორბაჩოვმა, მართალია, მოწინააღმდეგე ძალები უმტკივნეულოდ ჩამოაშორა პოლიტიკურ ასპარეზს, მაგრამ დასავლური სამყაროსათვის პირადად მან ფუნქცია დაჰკარგა. მიხეილ გორბაჩოვმა “გარდაქმნის” პროგრამის რეალიზებაში, “გარდაქმნის” მომხრე და მოწინააღმდეგე ძალების დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ახალ როლს მას აღარ სთავაზობდნენ. ახალი სამოკავშირე ხელშეკრულების მიხეილ გორბაჩოვისეული იდეა, როგორც აღვნიშნეთ, “გარდაქმნის” პროგრამას ეწინააღმდეგებოდა.

1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ მიხეილ გორბაჩოვი მართალია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად რჩებოდა, მაგრამ თვით ზესახელმწიფოს დღეები დათვლილი იყო. ძველი (საკავშირო) ცენტრი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებდა, საბჭოთა კავშირის სივრცეში დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა თხუთმეტი ცენტრი. საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე რეალობა იყო. რჩებოდა მხოლოდ ფორმალური აქტი. ეს დღეც შორს აღარ იყო. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიაში, ბელოვეჟში, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

საბჭოთა კავშირის დაშლით (1991 წ.) არ დასრულებულა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია. ეს პროცესი სულ მცირე ათი წელი მაინც გაგრძელდა და XXI საუკუნის დამდეგს დასრულდა.

1990–1991 წლებში ცენტრიდანულმა ძალებმა აშკარად სძლიეს ცენტრისკენულ ძალებს – ძველი (საკავშირო) ცენტრი ბუტაფორიად იქცა. ამ პროცესის თანადროულად მიმდინარეობდა მეორე, პარალელური პროცესი: ძველი ცენტრის დიქტატს თავდადწეული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები – იმთავითვე ექცეოდნენ დასავლური სამყაროს რომელიმე ქვეყნის გავლენის ქვეშ, ხოლო ყველა რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციასთან ერთად საბოლოო ჯამში აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრიდანული ძალების აშკარა უპირატესობის პირობებშიც ცენტრისკენული ძალები კვლავ არსებობდნენ. ეს ძალები დღესაც არსებობენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საკავშირო ცენტრის არარსებობის პირობებში რუსეთის ფედერაციის ცენტრისკენ არიან მიდრეკილნი (ბელორუსია, დნესტრისპირეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ყოფილი აფხაზეთით ავტონომიური რესპუბლიკა).

რატომ განხორციელდა ასე წარმატებით 1985–1991 წლებში საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა („გარდაქმნა“)? უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ 1953–1985 წლებში, ე.ი. სანამ დაიწყებოდა საბჭოთა სისტემისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის კომპლექსური გეგმის („გარდაქმნის“) მოქმედება, მანამ მომზადდა ნიადაგი „გარდაქმნისათვის“. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში დასავლურმა სამყარომ, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თანამოაზრეები გაიჩინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, დიპლომატიურ კორპუსში, ძალოვან სტრუქტურებში, საინფორმაციო ცენტრებში, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო უწყებაში. დასავლური სამყაროს სპეცსამსახურებს ჰქონდათ აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტისა და თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების განწყობილების შესახებ. დასავლეთის სპეცსამსახურების ინფორმაცია ჰქონდათ არა მარტო უწყების პირველ პირთა, არამედ უმნიშვნელოვანესი უწყებების სხვა თანამდებობის პირთა განწყობილების შესახებ, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობის შესახებ. იმდროინდელი საბჭოთა პოლიტიკური ელიტა იდგა დილემის წინაშე: საბჭოთა წყობილების უცვლელად შენარჩუნება ნიშნავდა იმას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლის (ფულის) ლეგალიზებას ვერასდროს ვერ მოახდენდნენ. არსებული (საბჭოთა) კანონმდებლობით ისინი დამნაშავეთა სამყაროს განეკუთვნებოდნენ და პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემთხვევაში კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ. ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება შესაძლებელი გახდებოდა მაშინ, თუ მოხდებოდა საბჭოთა სისტემის და შესაბამისად არსებული



საკანონმდებლო ბაზის ლიკვიდაცია. დაგროვილი ფული ჩრდილოვან ეკონომიკასთან კავშირში მყოფ პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას ახალი სახელმწიფო სისტემის (კაპიტალიზმის) პირობებში კარგი ცხოვრების გარანტიას აძლევდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩრდილოვან ეკონომიკასთან კავშირში მყოფი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დიდი ნაწილი პირდაპირ ან არაპირდაპირ დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების მოკავშირე გახდა, საბჭოთა სისტემის ნგრევაში ჩაება.

ხშირად ყურადღება არ ექცევა, ან შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს: მეორე მსოფლიო ომის (1939–1945 წწ.) შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი იოსებ სტალინის გარდაცვალების (1953 წ.) შემდგომ საბჭოთა კავშირში, მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში, თავისთავად, ბუნებრივად, დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების აქტიურობის გარეშე დღით-დღე იზრდებოდა იმ ადამიანების რიცხვი, რომელიც აიდილებდა ცხოვრების დასავლურ წესს, ხოლო ყოველგვარი საბჭოური მათთვის მიუღებელი და აუტანელი ხდებოდა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი შედეგი საბჭოთა სისტემის თვითკომპრომეტაციისა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის წლებში. ეს ადამიანები, მათი რიცხვი კი 1985 წლისათვის მილიონებით განისაზღვრებოდა, „გარდაქმნის“ (ე.ი. დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების გეგმის) ბუნებრივ მოკავშირედ იქცნენ.

ნიკიტა ხრუშჩოვი იოსებ სტალინის ადგილას! იყო თუ არა ეს შემთხვევითობა? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა! „სულელების“ ეპოქის დადგომა კანონზომიერება იყო. ის სისტემა, რომელიც დაუშვებს ნიკიტა ხრუშჩოვისთანა ვიგინდარების ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლას, ხოლო ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო ვიგინდარა ლეონიდ ბრეჟნევის გაპირკველკაცებას, განწირულია დაღუპვისათვის. იოსებ სტალინს შემთხვევით არ უხმარია გამოთქმა „სულელების დრო“. ნიკიტა ხრუშჩოვი ერთი „სულელთაგანი“ იყო. მას გვერდს უმშვენებდნენ: ვიაჩესლავ მოლოტოვი, გიორგი მალენკოვი, ნიკოლოზ ბულგანინი, ლაზარ კაგანოვიჩი, კლიმენტ ვოროშილოვი. ვინც არ უნდა მოსულიყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში, შედეგი იგივე იქნებოდა. არც ერთ მათგანს საბჭოთა სისტემის გარდაქმნისათვის საჭირო არც გონებრივი შესაძლებლობა და არც სურვილი არ გააჩნდა. „გარდაქმნამ“ ლოგიკურად გააგრძელა ის, რაც 1953–1985 წლებში ხდებოდა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან და 70-იანი წლების დამდეგიდან საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა იმიტომ დაგვირგვინდა წარმატებით, რომ იგი 1953–1985 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ანალიზს ემყარებოდა ყველა ნიუანსი უადრესად ზუსტად იყო გათვლილი. არის ასეთი გამოთქმა: „ის, რაც იქმნება საუკუნეების განმავლობაში – ინგრევა წამებში. ის რაც იქმნება წლების განმავლობაში – ინგრევა საათებში“. „გარდაქმნა“ ამის დადასტურებას წარმოადგენდა.

დასასრულ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერება იყო თუ შეთქმულების შედეგი? საბჭოთა სისტემა, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის (1939–1945 წწ.) შემდგომ რომ ძირეული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური რეფორმების გარეშე დიდხანს ვერ იარსებებდა ეს კანონზომიერება იყო. ამ მდგომარეობამდე საბჭოთა სისტემა ობიექტური მიზეზების გამო, დასავლური სამყაროს ზემოქმედების გარეშე მივიდა. კანონზომიერება იყო ისიც, რომ იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953–1964 წწ.) საბჭოთა კავშირში ვერ დაიწყო ძირეული რეფორმები. საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას რეფორმების გატარების არც სურვილი და არც ინტელექტუალური შესაძლებლობა გააჩნდა, ზესახელმწიფო იმ პოლიტიკოსთა ხელში აღმოჩნდა, რომელთა შეხედულებები XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა და რომლებიც ანგარიშს ვეღარ უწევდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს. ასე მომწიფდა ხელსაყრელი პირობები იმ შეთქმულების ორგანიზებისათვის, რომლისთვისაც დასავლური სამყარო დიდხანს და გულდასმით ემზადებოდა. შექმნილმა ვითარებამ დასავლურ სამყაროს

საშუალება მისცა აემოქმედებინა და წარმატებით განეხორციელებინა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური სისტემის დაშლის კარგად გააზრებული პროგრამა, რომლის ბოლო (სისტემური) ეტაპი ისტორიაში „გარდაქმნის“ (1985–1991 წწ.) სახელწოდებით შევიდა.

ვახტანგ ბურჭული